

აბატი ბუზონი

მარკები

დამხმარე სახელმძღვანელო დამწყები ფილატელისტებისათვის



აბატი ბუზონი
მარკეზი

დამხმარე სახელმძღვანელო დამწეები ფილატელისტებისათვის

ედვენება ჩემს ქალიშვილს კესოს და მის მეგობრებს: კატოს, ნიაკოს,
ლაზარეს, მიხეილს, დანის [მეტსახელად პასარელას] და ანდრიას.

თბილისი
2012



დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია მარკების გამოშვების ისტორია, ასევე, ფილატელიის არაერთი საინტერესო საკითხი: ფილატელისტის ძირითადი ინსტრუმენტები, ფილატელისტური ლიტერატურა, მარკების შეგროვებისა და მოვლის მეთოდები, რეკომენდაციები. მოცემულია ცნობილი კოლექციონერების მოკლე ბიოგრაფიები და სხვა საინტერესო საკითხები. იგი განკუთვნილია დამწყები ფილატელისტებისა და ზოგადად აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

გამომცემლობის რედაქტორი: ლამარა ბახტაძე
კომპიუტერული დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

ISBN 978-9941-0-5465-5

სარჩევი

1. წინათქმა	4
2. შესავალი	5
3. ფოსტის ისტორია - პირველი მარკა	7
4. ქართული მარკის ისტორია	12
5. მარკების სახეობები	15
6. იშვიათი მარკები	20
7. გაყალბებული მარკები	22
8. ცნობილი მარკები	23
9. ფილატელისტური ინსტრუმენტები	24
10. კოლექციონერობის მეთოდები	26
11. მარკის ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორები	27
12. პერფორაცია	29
13. მარკის დიზაინის ელემენტები	30
14. როგორ ამოვიცნოთ მარკები	30
15. ფილატელისტური ბიბლიოთეკა	31
16. სად შევიძინოთ მარკები	34
17. კოლექციის მოვლა - რამდენიმე რჩევა დამწყებ კოლექციონერებს	36
18. გამოჩენილი ფილატელისტები	37
 ბიბლიოგრაფია	41
 სასარგებლო ბმულები	42
 Summary	43

წინათქმა

მარკების შეგროვება სკოლის ასაკიდან დავიწყე, ისე როგორც ბევრმა ჩემმა მეგობარმა. ჩემი ბავშვობის მეგობრის, ირაკლის მარკები მასთან სტუმრობისას გართობის საუკეთესო საშუალება იყო. საკმაოდ დიდ ალბომში ლამაზად ჩაწყობილი ფერადი, თვალისმომჭრელი მარკებისგან მიღებული შთაბეჭდილებები დღემდე გამომყვა. ბავშვობის შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ დღეს ირაკლის ალბომი ჩემი კოლექციის ნაწილია, რომელიც მან შედარებით მოზრდილ ასაკში მისახსოვრა. არასდროს დამავიწყდება ლამაზი, ბამბუკებისგან დამზადებული მარკების მაღაზიაც, რომელიც ბათუმში, სამღვათ პორტის მახლობლად მდებარეობდა. არაერთი დღე გამიტარებია ამ მაღაზიაში მარკების თვალიერებასა და შერჩევაში. დღეს, სამწუხაროდ, ეს მაღაზია აღარ არსებობს.

მარკების შეგროვება ერთი მარკით იწყება და ჩემთვის ასეთი იყო მამჩემის მიერ ნაჩუქარი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ინდირა განდის გამოსახულებიანი მარკა. მაშინ ინდირა განდი ბეზიას მივამსგავსე. ასე დავიწყე მარკების შეგროვება, რასაც აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია ვაგრძელებ. მარკების შეგროვებამ გარკვეული წვლილი შეიტანა ჩემს განათლებაშიც, რადგან თითოეულ მარკას თავისი ისტორია ჰქონდა და მასზე გამოსახული ისტორიული პიროვნება, ისტორიული მოვლენა, სამხედრო ხომალდი თუ ხელოვნების ნაწარმოები, ბუნებრივად იწვევდა ინტერესს, რასაც ენციკლოპედიებისა და წიგნების კითხვით ვიკმაყოფილებდი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, რაც ინდირა განდიმ ჩემს კოლექციაში შემოაბიჯა და დღესაც იგივე შემართებით ვაგრძელებ საქმეს, რომელსაც ფილატელია ჰქვია. წლებთან ერთად, უფრო სერიოზულად მოვეკიდე ფილატელიას, დავიწყე მარკების თემატური შეგროვება, ალბომების განახლება, ფილატელისტური ინსტრუმენტებისა და ბიბლიოთეკის შეძენა, რაც ცოდნის მიღებასთან ერთად, უბრალოდ, გართობის კარგი საშუალებაც აღმოჩნდა.

აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო ფილატელიით ჩემი გართობის შედეგია, რომელსაც არა აქვს პრეტენზია ფილატელიის საფუძვლიან, აკადემიურ შესწავლაზე. იგი განკუთვნილია ფილატელიით დაინტერესებული მკითხველისათვის, თუმცა, მისი უპირველესი აუდიტორია ჩემი ქალიშვილი და მისი პატარა მეგობრები არიან, რომლებსაც მინდა გავუკვლიო გზა მარკების საინტერესო სამყაროში.

დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნაში დიდ მადლობას ვუხდით ჩემს მეუღლეს - გურანდას, რომელმაც ხელი არ შემიშალა ამ „ახირების“ შესრულებაში. ასევე, განსაკუთრებული მადლობა დიანას, რომელმაც არ დაიბარა და ბევრი კარგი მოსაზრება მომაწოდა.

შესავალი

ტერმინი ფილატელია ბერძნული სიტყვებისაგან philos (სიყვარული) და ateleia (გადასახადისაგან განთავისუფლებული) მომდინარეობს და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საფოსტო მარკით წერილის მიღების გადასახადი წინასწარ არის დაფარული და შესაბამისად წერილის მიმღებს რაიმე დამატებითი თანხის გადახდა არ უწევს. ტერმინი ფილატელიას ჰობის აღმნიშვნელადაც იყენებენ. ფილატელია გაცილებით უფრო ფართო სფეროა, ვიდრე მხოლოდ მარკების კოლექციონერობა და შენახვა. იგი გულისხმობს მარკებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესწავლას, მათ შორის, საფოსტო ისტორია, მარკების დიზაინი, წარმოება და ა.შ.

სიტყვა „ფილატელია“ პირველად ფრანგმა კოლექციონერმა ჟორჟ ჰერპინმა [George Herpin] 1863 წლის 3 ნოემბერს ფრანგულ ფილატელისტურ გამოცემაში „Collectionneur de Timbre-Poste“ გამოიყენა. მანამდე ამ სიტყვის მაგივრად ფრანგულ სიტყვას Timbromanie-ს იყენებდნენ, რაც ითარგმნებოდა როგორც „მარკების მანია“. კოლექციონერებს ეს სიტყვა არ მოსწონდათ, რადგან არ სურდათ ისინი „მანიაკებად“ მოესვენებინათ. ახალმა ტერმინმა სწრაფად სწორედ ამიტომ დაიმკვიდრა ადგილი.

ფილატელია ფართოდ გავრცელებული და კარგად დამკვიდრებული ჰობია და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უკვე 170 წელზე მეტია რაც მარკებს აგროვებენ. აშშ-ის საფოსტო სამსახურის ცნობით 22 მლნ ამერიკელი აგროვებს მარკებს. მათი უმრავლესობა მარკებით სისტემატურად არ ინტერესდება, არ ინახავს ყველა მარკას და არ ეკუთვნის რომელიმე ფილატელისტურ საზოგადოებას. 22 მლნ-დან მხოლოდ 250 ათასს შეიძლება ვუწოდოთ სერიოზული კოლექციონერი, რომელიც ფლობს ალბომებს, გაწვევრიანებულია ერთ-ერთ ფილატელისტურ საზოგადოებაში და გამოწერილი აქვს ფილატელისტური ჟურნალები.

მარკების შეგროვება ყველა ასაკის ადამიანს შეუძლია, განურჩევლად ინტერესის, ბიუჯეტისა თუ ადგილმდებარეობისა. სტუდენტს, რომელიც სწავლობს გეოგრაფიას, მშობელს ან მასწავლებელს, რომელიც ისტორიისა და კულტურის გაგების ახალი გზების მოძიებას ცდილობს, საქმოსანს, რომელიც სტრესის შესამსუბუქებლად ორიგინალურ ხერხს მიმართავს ან პენსიონერს, რომელიც ახალ გამოწვევებს ელის, მარკების შეგროვება უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებს.

A decorative border on the left side of the page, featuring torn paper and various currency elements. At the top, there's a piece of brown paper. Below it, a blue and white patterned strip. Further down, a red and white striped strip. At the bottom, a green and white striped strip. The text is placed on a light beige background.

საფოსტო მარკები ისტორიის ვიზუალური ასახვაა. მარკები ერების გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნების მაჩვენებელია. იგი ხელს უწყობს ვაჭრობასა და ტურიზმს, პატივს მიაგებს ეროვნულ გმირებს, აქცენტს აკეთებს სოციალურ საკითხებზე, აგროვებს ფულს ღირშესანიშნავი მოვლენებისათვის.

რაიომ უნდა შეაგროვო მარკები?

მარკების კოლექციონერები დაინტერესებული არიან ადამიანებით, გეოგრაფიული ადგილებითა და საგნებით, რომლებიც მარკებზეა გამოსახული. მათ უნდათ მეტი იცოდნენ იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ მარკებს გამოსცემენ, ვინ არიან მათი დიზაინერები, როგორ დაბეჭდეს და როგორ გამოიყენეს. ეს ელემენტები მარკების კოლექციას აქცევს ჰობად, რომელიც ყველა ადამიანის გონებას იპყრობს. ბოლოს და ბოლოს, მარკების შეგროვება გართობაა, რასაც ბევრ სხვა ჰობთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს. მას შეიძლება მისდიო ნებისმიერი ბიუჯეტის პირობებში. ცნობილია, რომ ზოგიერთი მარკა ასეულ ათასობით დოლარად გაყიდულა, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი.

ფოსტის ისტორია - პირველი მარკა

საფოსტო კომუნიკაციის განვითარება



მარკები უშუალოდ უკავშირდება საფოსტო კომუნიკაციას, რომელსაც განვითარების დიდი ისტორია აქვს. უძველესი საფოსტო მომსახურება ჯერ კიდევ 3500 წლის წინათ შეიქმნა ჩინეთში. ათასი წლის შემდეგ, საფოსტო სამსახურების ორგანიზება ახლო აღმოსავლეთშიც დაიწყო.

ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ სპარსეთის იმპერიაში დარიუს დიდის მმართველობის პერიოდში სამეფო გზის გასწვრივ საფოსტო სადგურები იყო განლაგებული. ცხენოსანი კურიერი ყოველ ასეთ სადგურზე წერილს გადასცემდა სხვა კურიერს, რომელსაც დასვენებული ცხენი ჰყავდა. მსგავსმა საფოსტო სისტემამ საუკუნეებს გაუძლო.

რომის იმპერიაში იმპერატორ ავგუსტუსის მმართველობის პერიოდში უფრო კომპლექსური საკურიერო და სატრანსპორტო სისტემა [cursus publicus]



განვითარდა. მისი გამოყენება მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების გასაგზავნად შეიძლებოდა. კურიერები წერილის ადრესატამდე დროულად მისატანად იმ დროისათვის ყველა შესაძლო ტექნიკას იყენებდნენ, ცხენებით დაწყებული გემებით დამთავრებული. ბერძნები და რომაელები მსუბუქი წერილების სწრაფად გადასატანად პერიოდულად მოშინაურებულ მტრედებსაც იყენებდნენ.

რომის იმპერიის ნგრევის შედეგად საფოსტო ქსელები მოიშალა, თუმცა მონასტრებმა და სასულიერო სასწავლებლებმა შუა საუკუნეებში ევროპის მასშტაბით ინფორმაციის გადაცემის ახალი სისტემა დააფუძნეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სასულიერო პირები იმ პერიოდში მოსახლეობის ყველაზე წიგნიერ ნაწილს წარმოადგენდნენ. უნივერსიტეტების დაარსების შემდეგ, ისინიც ამ ქსელის ნაწილი გახდნენ. წიგნიერების გავრცელებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა საკურიერო სერვისის გამოყენება გაცილებით ფართო მიზნებისათვის – სამთავრობო, კომერციული თუ სამხედრო.

1400-იან წლებში ევროპის ყველაზე მასშტაბური საფოსტო სისტემა დააფუძნა თარნ ენდ თაქსის ოჯახმა [Thurn und Taxis]. საფოსტო სისტემა მოიცავდა იტალიას, გერმანიას, ავსტრიას, უნგრეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგსა და ესპანეთს. ოჯახმა სხვადასხვა მმართველებისგან მონოპოლიური უფლებები მიიღო ოფიციალური ფოსტის ტრანსპორტირებისათვის. 1574 წლიდან ოჯახის საფოსტო სერვისის გამოყენება ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც შეეძლოთ, თუმცა ეს სერვისი მათთვის საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. იყო პერიოდი, როდესაც ოჯახს 20 ათასი თანამშრომელი ჰყავდა დაქირავებული და ოფისები ევროპის ყველა დიდ ქალაქში ჰქონდა გახსნილი. საინტერესოა, რომ ეს კერძო საფოსტო სისტემა სამ საუკუნეზე მეტ ხანს არსებობდა, 1867 წლამდე, ვიდრე პრუსიამ ოჯახის საფოსტო ქსელის ბოლო ნაწილის ნაციონალიზაცია არ მოახდინა.

საფოსტო რეფორმა

1700-იან წლებში კომერციის ზრდამ მიმწოდებლებს, მწარმოებლებს, დისტრიბუტორებს, მომხმარებლებს, ინვესტორებსა და ბანკებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება მოითხოვა. ბევრ ქვეყანაში საფოსტო გადასახადს წერილის მოცულობის (ფურცლების რაოდენობის) ან გასაგზავნი მანძილის მიხედვით ანგარიშობდნენ.

იმ პერიოდში საფოსტო გადასახადს წერილის მიმღები იხდიდა. ამას ემატებოდა წერილის ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი ხარჯი. ხშირ შემთხ-

ვევაში მიმღები მიღებული წერილის ღირებულებას ვერ ან არ იხდიდა, რის გამოც საფოსტო სამსახური ტრანსპორტირების ყველა ხარჯს საკუთარ თავზე იღებდა.

1826 წელს სკოლის ყოფილი მასწავლებელი როულანდ ჰილი, რომელიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა, საფოსტო სერვისის ეფექტურობის გაზრდის საკითხით დაინტერესდა. ჰილმა 1837 წელს გამოაქვეყნა პამფლეტი საფოსტო სამსახურის რეფორმა: მისი მნიშვნელობა და პრაქტიკულობა. ჰილი წინადადებით გამოვიდა წინმსწრებით გადაებად საფოსტო გადასახადი, რაც დადასტურდებოდა წინასწარ გადახდილი წერილის ფურცლებით ან მარკით, რომელიც მან შემდეგნაირად აღწერა: „მარკებისათვის სამყოფი ქაღალდის პატარა ნაჭერი, რომელიც გადასახადის წინმსწრებად გადახდას უნდა ადასტურებდეს. ქაღალდის უკანა მხარე უნდა იყოს წებოვანი, რათა წერილის მომტანმა მისი თავიდან დალუქვა შეძლოს“.



ჰილი, ასევე გამოვიდა წინადადებით საფოსტო ტარიფად ბრიტანეთის ტერიტორიაზე, ნებისმიერ მანძილზე, ერთი პენი დაედგინათ. მისი აზრით, დაბალი ტარიფები გაზრდიდა საფოსტო გზავნილების მიმოქცევას, შემოსავალსა და ეფექტურობას.

ჰილის გეგმას ერთსულოვანი მხარდაჭერა არ მიუღია, მაგრამ, საბოლოოდ 1839 წელს ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ბრიტანეთის საფოსტო რეფორმის აქტი. ჰილი ხაზინის მრჩეველად დაინიშნა და მიზნად გეგმის განხორციელება დაუსახეს.

ბრიტანეთის ხაზინის დეპარტამენტმა საჯარო კონკურსი ჩაატარა წერილის ფურცლებისა და წებოვანი მარკების დიზაინის შესაქმნელად. კონკურსში 2600 ვარიანტი წარმოადგინეს, საუკეთესო ვარიანტისათვის ფულადი ჯილდო დაწესებული იყო 200 ფუნტი, მეორე ადგილოსანისთვის - 100 ფუნტი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. ძირითადი ვარიანტები მომზადებული იყო წერილის ფურცლებისა და ნაკლებად წებოვანი

მარკებისათვის. გამარჯვებული ვარიანტი დაჯილდოვდა, თუმცა არც ერთი ეს ნიმუში არ მიიღეს.

ჰილი დარწმუნებული იყო, რომ წინასწარ გადახდილი წერილის ფურცლები უფრო გამოსაყენებელი იქნებოდა, ვიდრე წებოვანი მარკები, რადგან იმ პერიოდში კონვერტები ნაკლებად მოიხმარებოდა. წერილების უმრავლესობა საამისოდ განკუთვნილ ფურცლებზე იწერებოდა, იკეცებოდა და იშტამპებოდა.

დედოფალი ვიქტორია - შავი პენი



დიდ ბრიტანეთში, ე.წ. სახაზინო კონკურენციამ, წებოვან საფოსტო მარკებთან დაკავშირებით, რომელსაც ჰილი საკუთარი კრეატიული ინტერპრეტაციით „ქალაქის პატარა წებოვან ფურცელს“ უწოდებდა, სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია.

იმ დროისათვის ცნობილმა მხატვრებმა და მესტამბეებმა გამორჩეული დიზაინით შესრულებული ნამუშევრები წარადგინეს.

აღსანიშნავია მესტამბე ჩარლზ უაითინგის საფოსტო მარკის დიზაინები, ე.წ. „ესეი“, როგორც მას კოლექციონერები უწოდებდნენ, რომლებიც ძირითადად 2 ფერში იყო გადაწყვეტილი და ორნამენტებით მორთული, მაგრამ მკაფიოდ განსხვავდებოდა იმდროინდელ ბანკნოტზე დატანილი კლიშესაგან.

უილიამ უაიონმა, რომელიც დედოფლის კარზე მთავარი გრაფიკოსი იყო, შეიმუშავა „ესეი“ (მარკის დიზაინი), რომელზეც გამოსახული იყო დედოფალ ვიქტორიას პროფილი. უაიონმა აღნიშნული დიზაინი 1837 წელს მედალზე დასატანად შეიმუშავა.

გრაფიკოსმა უაიონმა ახალგაზრდა დედოფალ ვიქტორიას პროფილი, ლონდონელი მხატვრის, ჰენრი კორბოულდის მიერ შექმნილი პორტრეტიდან აიღო და სწორედ ეს ნიმუში გახდა პირველი წებოვანი საფოსტო მარკის დიზაინი, რომელიც ოფიციალურად დამტკიცდა.

ასე რომ, პირველი საფოსტო მარკის დიზაინი შეიქმნა მხატვარ ჰენრი კობოულდის თანამონაწილეობით. დედოფალს იმდენად მოეწონა მარკაზე გამოსახული საკუთარი თავი, რომ 60-წლიანი მმართველობის პერიოდში იგი მისი სხვა პორტრეტის გამოყენების ნებართვას არ იძლეოდა.

საბოლოოდ, უილიამ უაიონმა დაასრულა ამალგამა (გრავეურა), რომელიც საფოსტო მარკაზე დასატანად იყო ვარგისი.

ჰილმა, ლონდონელ მესტამბეებს - პერკინსს, ბეკონსა და პეტჩს დაავალა დაემზადებინათ შესაბამისი კლიშე და შემდგომ დაეხმოდათ საფოსტო მარკა. რამდენიმე ვერსია შეიქმნა, თუმცა, საბოლოოდ 1840 წლის 1 მაისს, ბრიტანეთის ფოსტამ გამოსცა მსოფლიოში პირველი წებოვანი საფოსტო მარკა, რომელიც 6 მაისს გავიდა გაყიდვაში.

საფოსტო მარკის დასაბეჭდად გამოიყენეს შავი მელანი, რომელზეც ასევე, ე.წ. წყლის ნიშნით დატანილი იყო პატარა ზომის სამეფო გვირგვინი.

თითოეულ ნაბეჭდ ქაღალდზე დატანილი იყო 240 ცალი საფოსტო მარკა, რომლებიც მაკრატლით უნდა დაჭრილიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, თითოეული მარკაზე გამოსახული იყო ახალგაზრდა დედოფალ ვიქტორიას პროფილი. ეს მარკა დღემდე ცნობილია **შავი პენის** სახელით.

ჰილის საფოსტო რეფორმამ აჩვენა, რომ მისი იდეები მართებული იყო. დაბალი საფოსტო ტარიფები ცნობილი გახდა, როგორც „უნივერსალური პენის საფოსტო გადასახადი“. რეფორმამ ხელი შეუწყო საფოსტო გზავნილების რაოდენობისა და შემოსავლების გაზრდას და საფოსტო სამსახურების ეფექტურ მუშაობას.

თავდაპირველად ახალ ინიციატივას (წერილის გაგზავნის გადასახადის წინმსწრებად დაფარვას, რის შედეგადაც მიმღებს გარკვეული დამატებითი თანხის გადახდა არ უწევდა) საზოგადოების მხრიდან ნეგატიური შეფასება მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ წინასწარ გადახდა წერილის მიმღებისათვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა, რადგან მიმღებს შეიძლება ეფიქრა, რომ გამომგზავნმა ეჭვი შეიტანა მიმღების გადახდისუნარიანობაში. მიუხედავად ამისა, საზოგადოებამ საკმაოდ მოკლე დროში დააფასა გაცილებით დაბალი საფოსტო გადასახადები და უკეთესი მომსახურება.

ქართული მარკის ისტორია



საფოსტო მარკების გამოცემას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. რუსეთის იმპერიაში შემავალ ტფილისის გუბერნიაში, საერთო სახელმწიფო მარკების გამოშვებამდე ერთი წლით ადრე, 1857 წლის 20 ივნისს, გამოიცა თბილისის 6-კაპიკიანი მარკა - ტფილისის უნიკა (რუსულად: Тифлисская уника).

მარკის ალტერნატიული სახელწოდებებია: „ტფილისის მარკა“ და „კოჯრის მარკა“. მისი მხოლოდ სამი სუფთა ანუ გამოუყენებელი ეგზემპლარია შე-

მორჩენილი. მარკა ყველა ფილატელისტურ კატალოგში მოხსენიებულია, როგორც მსოფლიოში ყველაზე იშვიათი და ძვირადღირებული საფოსტო მარკა.

1856 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II სამხრეთ კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნა თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი, რომელმაც დააარსა ტფილისის საქალაქო ფოსტა. ერთი წლის შემდეგ, ტფილისის საქალაქო ფოსტამ მიმოქცევაში გამოუშვა პირველი საფოსტო მარკა, რომელიც გამოიყენებოდა ტფილისისა და კოჯრის საფოსტო გზავნილებისათვის. გენერალ-გუბერნატორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ტფილისში, კოჯორში კი მდებარეობდა მისი საზაფხულო რეზიდენცია. ქალაქის შიგნით საფოსტო გზავნილებისათვის საკმარისი იყო 1 მარკა, ხოლო კოჯორში გასაგზავნად (და პირიქით) – 3 მარკა. ამ დროს, კავკასიის ოლქის ფოსტის მმართველი იყო ნ. ს. კახანოვი, რომელიც ითვლება მარკის დაბეჭდვის ინიციატორად. მარკა გამოიცა მცირე ტირაჟით და მიმოქცევაში იყო ცოტა ხანი.

ფილატელისტურ წრეებში მარკის შესახებ საუბარი პირველად 1880–იან წლებში დაიწყო, თუმცა იმ პერიოდში მარკა ფიზიკურად არავის ჰქონდა ნაწახი. მარკის სახელი „ტფილისის უნიკა“ პირველად 1929 წელს გამოიყენა ბაქოში მოღვაწე ცნობილმა ფილატელისტმა სერგეი კუზოვკინმა.

„ტფილისის უნიკა“ საყოველთაოდ აღიარებულ კლასიფიკაციაში არ თავსდება, ამიტომ სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

- ❖ ტფილისის საქალაქო ფოსტის პირველი მარკა (კ. ბერნგრადი).
- ❖ სახმელეთო ფოსტის მარკა (ი. ბრაუშტეინი).
- ❖ ნახევრად ოფიციალური ადგილობრივი გამოცემა (პ. ლავროვი).
- ❖ დროებითი ან ადგილობრივი გამოცემა (მ. ლიპშიუცი).
- ❖ რუსეთის პირველი სახელმწიფო მარკა (ს. ბლესმანი).

სამი ეგზემპლარიდან ორი 2000 წელს ცნობილი კოლექციონერის ზბიგნეჟ მიკულსკისგან აუქციონზე უცნობმა პირმა ნახევარ მლნ აშშ დოლარად შეიძინა. მესამე ეგზემპლარი, დანარჩენ ორთან შედარებით, შელახულ მდგომარეობაშია და ინახება ლუქსემბურგში მცხოვრები ცნობილი ფილა-



ტელისტის ბერლინჟერის კოლეციაში. 2008 წლის 5 ოქტომბერს უდიდეს ფილატელისტურ აუქციონზე ჟენევაში მარკის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ადრე მიკულსკის ეკუთვნოდა, 480 ათას ევროდ გაიყიდა.

ტფილისის მარკის უნიკალურობა იმითაცაა განპირობებული, რომ არ შემორჩენილა მარკის არც ერთი სხვა ბათილი ეგზემპლარი.

1997 წელს საქართველოს ფოსტამ გამოსცა „ტფილისის უნიკის“ 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ქართული საფოსტო მარკა და ბლოკი სახელწოდებით – „ტფილისის საქალაქო ფოსტის მარკა“.

ქართული საფოსტო მარკების გამოცემა განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918–1921 წწ.). პირველი მარკა გამოვიდა 1919 წლის 26 მაისს. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შედეგად, საქართველოს საფოსტო მარკების გამოცემა შეწყდა.

1922 წელს საქართველოს სსრ სახელით გამოიცა რამდენიმე საფოსტო მარკა. 1922–1923 წლებში კი, ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომლის წევრიც საქართველოც იყო, გამოსცა საფოსტო მარკები. 1924 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს სიუჟეტებითა და მოლვანებით გამოდიოდა საფოსტო მარკები, მაგრამ არც ერთზე არ იყო მოხსენებული „საქართველო“ ან ქართულ ენაზე სხვა რაიმე წარწერა. ყველა მათგანზე რუსულ ენაზე აღნიშნული იყო – „სსრკ-ის ფოსტა“.

1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, მხოლოდ 1993 წლის 31 ივლისს მოხერხდა პირველი ეროვნული საფოსტო მარკების სერიის – „საქართველო გაეროს წევრის“ გამოცემა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს გაეროში გაწევრიანების წლისთავს.

1993 წლიდან დღემდე გამოიცა 450–ზე მეტი სხვადასხვა დასახელების მარკა, რომელთა საერთო ტირაჟი, დაახლოებით, 40 მილიონამდეა. ამ მარკების 60% ბადურ ქობლიანის ნამუშევარია. საქართველოში დაბეჭდილი ახალი მარკები კი დიზაინერ ბადრი გაგნიძის შესრულებულია. პირველი მარკა ესპანეთში დაიბეჭდა, შემდგომში კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

მარკების სახეობები

საფოსტო მარკები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: დეფინიტური/რეგულარული, საიუბილეო და დროებითი.

დეფინიტური/რეგულარული მარკები

დეფინიტური მარკები არის ჩვეულებრივი, ყოველდღიურად გამოყენებადი მარკები. მსგავსი ტიპის მარკები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება. აშშ-ში დეფინიტური მარკები ზომით პატარაა და მასზე, როგორც წესი, გამოსახულია ამერიკის დროშა. ამ მარკებს ყოველდღიურად გაგზავნილი ფოსტის დიდ ნაწილზე აკრავენ.

საიუბილეო მარკები

საიუბილეო მარკები გამოიცემა განსაკუთრებული შემთხვევისას და დროის შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზეა გაყიდვაში, როგორც წესი, რამდენიმე კვირა, ძალიან იშვიათად წელიწადზე მეტი. საიუბილეო მარკებს სპეციალურად უშვებენ, რათა პატივი მიაგონ რომელიმე პიროვნებას, საგანს, ისტორიულ დღეს ან მოვლენას. ზოგიერთი საიუბილეო მარკა აქცენტს პროგრამებზე აკეთებს, მაგალითად, სოციალური საკითხები. საიუბილეო მარკები ხშირად ზომაში დეფინიტურ მარკებზე დიდია. კაშკაშა ფერები, მიმზიდველი დიზაინი და მასზე გამოსახული საინტერესო საგანი, მას განსაკუთრებულ პოპულარობას სძენს. ფილატელისტურ საზოგადოებაში მიიჩნევენ, რომ პირველი საიუბილეო მარკა 1888 წელს, ბრიტანეთის კოლონიამ, ახალმა სამხრეთ უელსმა, ავსტრალიაში პირველი ბრიტანული დასახლების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამოსცა.

დროებითი მარკები

დროებითი მარკები მოთხოვნის მოკლევადიანი დანაკლისის შესავსებად შემოვიდა. ამ ტიპის მარკები იყო სხვადასხვა ფორმის, თუმცა ყველაზე შესამჩნევი იყო ისინი, რომელთაც ჭეონდათ დამატებითი შტამპი.

ხშირ შემთხვევაში, მარკების დაშტამპვას საფოსტო განაკვეთის ცვლილება იწვევდა და ეს პროცედურა საჭირო იყო მანამ, სანამ მარკების ახალი პარტია დაიბეჭდებოდა. ხდებოდა არსებული მარკების დენომინაცია. ჩვეულებრივ, ძველი ფასი ან ახალი ფასით იშლებოდა, ან სხვა საშუალებებით.



მარკების გადაშტამპვა/გადაფასება საკმაოდ ხშირია და ისინი ხმარებაში რჩება მანამ, სანამ ახალი საფოსტო განაკვეთის შესაბამისი მარკები არ დაიბეჭდება და გავრცელდება.

დროებითი მარკების გამოშვების მიზეზი მარკების ნაკლებობაცაა. მათი ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს მიწოდების შეწყვეტამ, ქურდობამ, წყალდიდობის ან ხანძრის შედეგად მიყენებულმა ზიანმა და სხვა არაპროგნოზირებადმა მიზეზებმა. სხვადასხვა დროში მარკების ნაკლებობას ბუნებრივი კატაკლიზმებიც იწვევდა, როდესაც შტორმები, მიწისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები საფოსტო სამსახურების მუშაობაზე ახდენდა გავლენას.

დროებითი მარკები ხშირად წარმოებს მარკებისათვის „დამატებითი ღირებულების“ და „დამატებითი შტამპის“ მინიჭებით.

ტერმინი surcharge (დამატებითი საფასური) საფოსტო მარკის ნომინალურ ღირებულებას განსაზღვრავს. მაგალითად, თუკი საფოსტო განაკვეთი იზრდება, ზოგიერთი ქვეყანა ძველი მარკების გადაფასებას ახდენს და არსებულ ღირებულებას ზემოდან ახალ ფასს აწერს.

მარკების გადაფასება შესაძლოა მოხდეს ქველმოქმედების მიზნით, როდესაც ჩვეულებრივ საფოსტო მარკას ახალი ღირებულება ენიჭება და ისინი უკვე ნახევრად საფოსტო მარკებად (ფილატელიაში ცნობილია, როგორც საქველმოქმედო მარკა) ითვლება.

ტერმინი overprint (ოფიციალური შტამპი, ბეჭედი საფოსტო მარკაზე) გამოიყენება საფოსტო მარკის ზედა ნაწილში დამატებითი შტამპის დასატანად. შტამპი შესაძლოა იყოს განსხვავებული ფორმის და სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდეს. მაგალითად, ზოგიერთ ჩვეულებრივ საფოსტო მარკას დაესვა შტამპი შემდეგი ტექსტით: ავიაფოსტით გაგზავნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული შტამპის მქონე მარკები გამოიყენებოდა წერილის მხოლოდ ავიაფოსტით გაგზავნის შემთხვევაში. სიტყვა - ოფიციალური დაიტანეს იმ საფოსტო მარკებზე, რომლებიც გამოიყენებოდა მხოლოდ სამთავრობო მიზნით.

სხვა მიზეზი, რის გამოც მარკებზე დამატებითი შტამპების დატანა ხდებოდა, გახლდათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, რათა განესხვავებინათ თუ რომელი მმართველობის პერიოდში იყო მარკა დაბეჭდილი. ზოგჯერ დამატებით შტამპებს მარკებს იმ მიზეზით ასვამდნენ, რომ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გამოეყენებინათ. გარდა ზემოჩამოთვლილისა, მარკები იშტამპებოდა საიუბილეო მარკის სტატუსის მინიჭების მიზნითაც.



Tete beche

კოლექციონერები ტერმინებს - დამატებითი საფასური და დამატებითი შტამპი, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე დანიშნულებით იყენებენ. სინამდვილეში კი, დამატებითი საფასური შესაძლოა გამოვიყენოთ დამატებითი შტამპის კონტექსტში, პირიქით კი არა.

სამი ძირითადი ჯგუფის გარდა გამოყოფენ სხვადასხვა ტიპის მარკებს, რომელთა ნაწილიც ქვემოთ არის მოყვანილი.

ავიაფოსტის მარკები - გამოიყენება წერილის ავიაფოსტით ტრანსპორტირებისათვის მომსახურების გადასახადის გადასახდელად.

ოფიციალური მარკები - ბევრი ქვეყანა გამოსცემს ოფიციალურ მარკებს, რომლებსაც სამთავრობო დეპარტამენტები და სააგენტოები კორესპონდენციის გასაგზავნად იყენებენ. ეს მარკები შეიძლება საგანგებოდ შერჩეული დიზაინით გამოიცეს ან ჩვეულებრივ მარკებზე სპეციალური აღნიშვნები გაკეთდეს.

ომის გადასახადის მარკები - ბევრ სახელმწიფოს სჭირდება რა დამატებითი შემოსავალი შეიარაღებული კონფლიქტების დასაფინანსებლად, სხვადასხვა სახის გადასახადს უწესებს საკუთარ მოქალაქეებს, მათ შორის საფოსტო გადასახადს. აქედან შემოსული თანხა არ არის საფოსტო ტარიფის ნაწილი, რადგან შემოსავალი მიდის არა საფოსტო სამსახურში, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში, საიდანაც ფინანსდება საომარი ოპერაციები. პირველი ამგვა-

რი მარკა გამოიყენა ესპანეთმა 1874 წელს. ხოლო აშშ-მა პირველი მსოფლიო ომის დროს.

საოკუპაციო მარკები - ომების შედეგად მთავრობების შეცვლა სხვა ტიპის დროებითი მარკების გამოჩენასაც იწვევდა, რომლებსაც ოკუპირებულ ქვეყანაში იყენებდნენ. საოკუპაციო მარკების წარმოების უსწრაფესი გზა ოკუპირებული ქვეყნის ან დამპყრობელი ქვეყნების მარკებზე შტამპის დასმა იყო. მსგავსი მარკები განსაკუთრებით ბევრი გამოვიდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად.

ადგილობრივი მარკები - ადგილობრივი მარკები გამოიყენება სპეციფიკურ რეგიონებში ან შეზღუდულ საფოსტო სისტემაში. იგი შეიძლება ოფიციალურად გამოსცეს ადგილობრივმა ფოსტამ ან არაოფიციალურად კერძო კურიერებმა ან კორპორაციებმა. ადგილობრივი მარკები არ გამოიყენება ქვეყნის ან საერთაშორისო მასშტაბით გზავნილების ტრანსპორტირებისათვის.

ომნიბუსი - პერიოდულად ორი ან მეტი საფოსტო ადმინისტრაცია ერთობლივად გამოსცემს იდენტურ ან მსგავსი დიზაინის მარკებს, რათა საერთო ინტერესის ადამიანი მოიხსენიონ ან საერთო თემა აღნიშნონ. პირველი ომნიბუსი 1898 წელს ვასკო და გამას თემაზე პორტუგალიამ და მისმა კოლონიებმა გამოსცეს. დღეისათვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ევროპის თემაზე გამოცემული ყოველწლიური მარკები. 1956 წლის 15 სექტემბერს ექვსმა ევროპულმა სახელმწიფომ [ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები] გამოსცა მარკა საერთო დიზაინით - Europa. მარკის პირველი დიზაინი ფრანგ დანიელ გონზაგის



[Daniel Gonzague] ეკუთვნის. ამის შემდეგ Europa ყოველ წელს გამოდის. თავიდან ყველა ქვეყანა მარკას საერთო დიზაინით უშვებდა, მართალია 1974 წლიდან თემა საერთოა, მაგრამ დიზაინი განსხვავებული. სულ უფრო მეტი ქვეყანა მონაწილეობს საერთო დიზაინის ან უნიკალური დიზაინის მარკების გამოცემის საქმეში.

Se-tenant - ფრანგული ტერმინია, რაც ნიშნავს შეერთებულს/გადაბმულს. ამ ტერმინს ფილატელისტები იყენებენ, მაშინ როდესაც ორი ან მეტი მარკა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება დიზაინით, მაგრამ თემატურად ებმის ურთიერთს, გადაბმულია ერთმანეთზე და გამოყოფილია პერფორაციით. კოლექციონერები, როგორც წესი, ამ ტიპის მარკებს არ აცალკევებენ.

Tete beche - ფრანგული ტერმინია და ნიშნავს თავდაყირას. ამ ტერმინს ფილატელისტები იყენებენ, მაშინ როდესაც ორი ერთი და იგივე დიზაინის მარკა ბეჭდვისას დატანილია ერთ ქალაქზე ძირით ან ფსკერით მაღლა. ეს შეიძლება იყოს მიზანმიმართული ან ბეჭდვისას დაშვებული ხარვეზის შედეგად. მსგავსი მარკების განცალკევება არ შეიძლება, რადგან ეს ძირითად პრინციპს არღვევს.

სინდერელა [Cinderella-კონკია] - მარკის მსგავსია, რომელსაც საფოსტო ღირებულება არა აქვს და შემოსავლის მისაღებად არ გამოიყენება. სინდერელა მარკები საფოსტო მარკების მსგავსია, მაგრამ საფოსტო სერვისის გადასახდელად არ გამოიყენება. მას სხვადასხვა მიზნით ბეჭდავენ, მათ შორის საქველმოქმედო მიზნებისათვის და ზოგიერთი კოლექციონერის ინტერესს წარმოადგენს.



Se-tenant

იშვიათი მარკები

ბრიტანეთის გაიანას ერთცენტიანი მაჯენტა [magenta] და აშშ-ში გამოშვებული გადაბრუნებული ჯენი ორი ყველაზე ცნობილი და ღირებული მარკაა მსოფლიოში. ერთი აღმოაჩინა სკოლის მოსწავლემ, მეორე - კლერკმა, როდესაც სამსახურში მიდიოდა.

ბრიტანეთის გაიანას ერთცენტიანი მაჯენტა



მარკის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს, რომელიც 1980 წელს ყველაზე ძვირად 935 000 აშშ დოლარად გაიყიდა. მარკა დაიბეჭდა ჩვეულებრივი შავი მელნით მოვარდისფრო-ისფერ ქაღალდზე. მარკა 1856 წელს ბრიტანეთის გაიანაში ელემენტარულ საბეჭდო მანქანაზე დაიბეჭდა. მარკაზე გამოხატულია გემი, რომლის გასწვრივ ჩანს კოლონიის წარწერა, მარკის ღირებულება და ლათინურად დაწერილი დევიზი. მარკას რვაკუთხას ფორმა აქვს.

ახალგაზრდა ლ. ვერნონ ვოუგენმა მარკა 1863 წელს აღმოაჩინა, რომელმაც იგი 6 შილინგად (1.50 აშშ დოლარი) მიყიდა ნ.რ. მაკკინონს. ბოლოს მარკა ცნობილი კოლექციონერის გრაფ ფერარის კოლექციაში აღმოჩნდა, რომელიც მის სიკვდილამდე, 1917 წლამდე მას ეკუთვნოდა. 1920-იან წლებში ფერარის კოლექცია აუქციონზე გაიყიდა. დიდი ბრიტანეთის მეფე ჯორჯ V ბრიტანეთის იმპერიის მარკების კოლექციის შესავსებად მხოლოდ ეს მარკა აკლდა. აუქციონზე ყველაზე დიდი თანხა მდიდარმა ამერიკელმა, ქსოვილების მწარმოებელმა, არტურ ჰინდმა გადაიხადა, იმ დროისათვის რეკორდული 32 500 აშშ დოლარი. 1933 წელს ჰინდის გარდაცვალების შემდეგ, მარკა რამდენჯერმე გაიყიდა, და ბოლოს, 1980 წელს, ჯონ ი. დიუპონის [John E. DuPont] ხელში აღმოჩნდა. ხმები მეორე ეგზემპლარის არსებობის შესახებ დღეისათვის არ დასტურდება.

გადაბრუნებული ჯენი

1918 წლის 14 მაისს, ვაშინგტონში, ერთ-ერთ კომპანიაში მომუშავე სამსახურში მიმავალი მოლარე უილიამ ტ. რობეი გზაზე შეჩერდა და ახალი, ორფერში დაბეჭდილი 24-ცენტიანი ავიაფოსტის მარკა შეიძინა. მარკაზე გამოსახული იყო კურტის ჯენის ბიბლანი [ძველი ტიპის თვითმფრინავი ორი, ერთი მეორეს ზევით განლაგებული ფრთით] ლურჯ ფერში. მოულოდნელად მან აღმოაჩინა, რომ თვითმფრინავი გადაბრუნებული იყო. მან თანამშრომლებს უამბო ამის შესახებ. შემდეგ ტელეფონით მეგობრებს დაურეკა. მალე ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. კოლექციონერები საფოსტო ოფისებში გაემართნენ მარკის შესაძენად. ფოსტის ინსპექტორებმა რობეის მარკის დაბრუნება მოსთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.

მარკის დაკარგვის შიშით, რობეი სასწრაფოდ დილერებს დაუკავშირდა და საბოლოო ჯამში ფილადელფიელ დილერს იუჯინ კლეინს 15 000 აშშ დოლარად მიჰყიდა, რითაც ერთ კვირაში 14 976 აშშ დოლარის მოგება მიიღო. ზუსტად 24 საათში, კლეინმა იგი 20 000 აშშ დოლარად ექსცენტრიულ მულტიმილიონერ კოლექციონერს, პოლკოვნიკ ედუარდ გრინს მიჰყიდა. მათ, შემდეგ, ერთობლივად დაიწყეს თითო-თითო ეგზემპლარების გაყიდვა, ჯერ 250, შემდეგ კი - 350 აშშ დოლარად. 1936 წელს, როდესაც გრინი გარდაიცვალა, პოლკოვნიკის კოლექციაში დარჩენილი იყო 41 ეგზემპლარი. შემდგომში თითო ეგზემპლარზე ყველაზე მაღალი ფასი 100-125 ათასს აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა.



გაყალბებული მარკები

ყალბი მარკა მარკის იმიტაციაა, რომლის მიზანაც საფოსტო ხელისუფლების [საფოსტო სიყალბე] ან კოლექციონერების [ფილატელისტური სიყალბე] შეცდომაში შეყვანაა.

მოგების მიზნით მარკების გაყალბება დღეს იშვიათი მოვლენაა, თუმცა, საფოსტო მარკების გამოშვების ადრეულ ეტაპზე, მსგავს ქმედებას საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი.

საფოსტო მიზნით მარკების გაყალბება, ძირითადად, დაბალი ღირებულებების მქონე მარკებს ეხებათ, რომლებიც ფართო გამოყენებაშია. მსგავსი ტიპის გაყალბება განსაკუთრებით საფრანგეთისა და ესპანეთის მარკებს ეხებოდა, სადაც მარკები არა მარტო საფოსტო ოფისებში, არამედ თამბაქოს, გაზეთების ჯიხურებსა და სხვ. იყიდებოდა. მსგავსი მაღაზიები ადვილად ეტანებოდნენ გაყალბებულ მარკებს, რომლებსაც ფასდაკლებით ყიდულობდნენ.

მსგავსი საფოსტო სიყალბეები გამოიარეს: არგენტინამ, ავსტრალიამ, ავსტრიამ, ჩინეთმა, გერმანიამ, იაპონიამ, ნიდერლანდებმა და აშშ. დიდ ბრიტანეთს კი ნაკლებად განუცდია მსგავსი რამ. ყველაზე ცნობილია 1871 წლის ერთმილინგიანი ე.წ. „საფონდო ბირჟის სიყალბე“. ყალბ მარკებს იყენებდნენ ტელეგრამებზე, რომლებიც საფონდო ბირჟის საფოსტო ოფისიდან იგზავნებოდა. სიყალბის აღმოჩენა 1898 წლამდე ვერ მოხერხდა.

ფილატელისტური სიყალბე, ძირითადად, იშვიათ მარკებს ეხება, კოლექციონერების შეცდომაში შესაყვანად. ცნობილი გამყალბებლები არიან: ჟორჟ ფიურე [Georges Foure], ძმები სპიროები [Spiro Brothers], ჟან დე სპერატი [Jean de Sperati], ფრანსუა ფურნიე [Francois Fournier]. შვეიცარიელმა ფურნიემ მე-19 საუკუნის ბოლოდან პირველ მსოფლიო ომამდე, იაფფასიანი და ძვირადღირებული მარკები გააყალბა. მან მის მიერ გაყალბებული 1200 მარკის კატალოგიც კი გამოსცა.

ცნობილი მარკები



შაჰი პენი

[Penny Black]

გამოშვების თარიღი: 1 მაისი, 1840 წ.
(გაყიდვაში 6 მაისიდან)

გამომცემელი: დიდი ბრიტანეთისა
და ჩრდილოეთ ირლანდიის
გაერთიანებული სამეფო

ცნობილია, როგორც: მსოფლიოში
პირველი წებოვანი საფოსტო მარკა



მაშრიკის ფოსტა - ლურჯი პენი/წითელი პენი

[Post Office Mauritius – Blue Penny/Red Penny]

გამოშვების თარიღი: 20 სექტემბერი, 1847 წ.

გამომცემელი: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ
ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

ცნობილია, როგორც: პირველი ბრიტანული მარკა,
რომელიც გაერთიანებული სამეფოს გარეთ გამოუშვეს



ტრაი სკილინგ ყვითელი

[Treskilling Yellow]

გამოშვების თარიღი: 1855 წ.

გამომცემელი: შვედეთი
ცნობილია, როგორც: ერთ-ერთი
ყველაზე ძვირადღირებული
მარკა მსოფლიოში



გადაბრუნებული ჯენი

[Inverted Jenny]

გამოშვების თარიღი: 10 მაისი,
1918 წ.

გამომცემელი: აშშ
ცნობილია, როგორც: ყველაზე
პოპულარული, შეცდომით
დაბეჭდილი, ამერიკული მარკა



მარდისფერი გრონჩი

[Gronchi Rosa]

გამოშვების თარიღი: 3 აპრილი,
1961 წ.

გამომცემელი: იტალია
ცნობილია, როგორც: ყველაზე
გამორჩეული ბეჭდვითი
შეცდომა იტალიაში



ბაზელის მთრმდი

[Basel Dove]

გამოშვების თარიღი:

1 ივლისი, 1845 წ.

გამომცემელი:

შვეიცარია, ბაზელის კანტონი
ცნობილია, როგორც: მსოფლიოში
პირველი სამფეროვანი მარკა



ფრანკლინის მარკა

[Z Grill]

გამოშვების თარიღი: 1868 წ.

გამომცემელი: აშშ

ცნობილია, როგორც: ერთ-ერთი
ყველაზე იშვიათი და ღირებული
მარკა აშშ-ში



ბრიტანეთის გაიანას

ერთცენტიანი მაჰანტა

[British Guiana 1 Cent Magenta]

გამოშვების თარიღი: 1856 წ.

გამომცემელი: ბრიტანეთის გაიანა
ცნობილია, როგორც: იშვიათი
მარკა, რომლის მხოლოდ ერთი
ეგზემპლარი არსებობს

ფილატელისტური ინსტრუმენტები

ბევრი ჰობი და სპორტის სახეობა ძვირადღირებულ ინსტრუმენტს მოითხოვს, თუმცა მარკების შეგროვების დაწყება გაცილებით უფრო მცირე დანახარჯებით შეიძლება. კოლექციონერობის საწყის ეტაპზე შესაძენი ძირითადი ინსტრუმენტების რაოდენობა მინიმალურია და მცირეებიუჯეტიანი. კოლექციის ზრდასთან ერთად შესაძლოა შესაძენი ინსტრუმენტების რაოდენობაც გაიზარდოს. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი ფილატელისტური ინსტრუმენტები:

მარკის მაშა

ძირითადი ფილატელისტური ინსტრუმენტი მარკის მაშაა, რომლის გამოყენებაც მინიმუმდღე ამცირებს მარკის დაზიანების ალბათობას. გამოიყენება მხოლოდ მარკებისათვის განკუთვნილი მაშა, რადგან ზოგიერთ არაფილატელისტურ მაშას ბასრი კიდეები აქვს, რაც მარკის დაზიანებას იწვევს. მარკის დაზიანების თავიდან ასაცილებლად და ალბომიდან მის ამოსაღებად და ჩასადებად გამოიყენება მარკის მაშა. ამით თავიდან აიცილებთ მარკის გახევას, პერფორაციის დაზიანებას და ზეთის გადასვლას ხელიდან მარკაზე.



მარკისათვის ხელის მოკიდება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ხელზე არსებული ბუნებრივი ზეთები დროთა განმავლობაში აზიანებს მათ. მარკების მაშა სხვადასხვა ფორმისაა და მისი შერჩევა შესაძლებელია სურვილისამებრ.

გამადიდებელი შუშა

გამადიდებელი შუშით შესაძლებელია მარკაზე დიზაინის ნებისმიერ დეტალზე დაკვირვება. ასევე, შესაძლებელია უმნიშვნელო დაზიანების აღმოჩენაც. გამადიდებელი შუშა არის სხვადასხვა სიდიდისა და სიმძლავრის.



მარკების ალბომი

ალბომში მარკების განთავსება უსაფრთხოა. ალბომის შერჩევის დროს მნიშვნელოვანია თუ რამდენად უსაფრთხოდ შეიძლება მასში მარკების

შენახვა. მნიშვნელოვანია ალბომების გვერდები ისეთი იყოს, რომ მარკები ერთმანეთს არ ეხებოდეს. 1862 წელს პირველი ალბომის დაბეჭდვას პარიზელ ჯასტინ ანრი ლელიერს [Justin Henry Lallier] მიაწერენ. დამწყები ფილატელისტებისათვის უმჯობესია პატარა მოცულობის ალბომი, რადგან მათ მოკრძალებულ კოლექციას გადასწონის ალბომში არსებული ცარიელი ფურცლები.



მარკების ამომცნობი

მარკის წარმოშობის გავება მარტივია, თუკი ქვეყნის სახელი მშობლიურ ენაზე ან ინგლისურად წერია. თუმცა, რთულია ქვეყნის გარჩევა, თუკი ქვეყნის სახელი კირილიცაზე ან რომელიმე აზიურ ენაზე წერია. მარკების ზოგიერთ კატალოგს ცალკე სექცია აქვს, რაც მარკების ამომცნობაში გვეხმარება. თუმცა, ცალკე გამოდის მარკების ამომცნობეებიც.

პერფორაციის საზომი

პერფორაციის ზუსტი გაზომვა შეუძლებელია პერფორაციის საზომის გარეშე. პერფორაცია არის ნახვრეტები, რომლითაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული მარკები, რაც აადვილებს მათ განცალკევებას. იგი იზომება ყოველ ოც მილიმეტრზე (2 სანტიმეტრი) ნახვრეტების რაოდენობით. აღნიშნული გამოგენება ჯ. ა. ლეგრანის [Legrand] სახელს უკავშირდება. მან ამის შესახებ, 1866 წელს, სტატია ბელგიურ ფილატელისტურ გამოცემაში გამოაქვეყნა.



ორი მარკა შეიძლება იდენტურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მცირე განსხვავებას კი პერფორაციის კუთხით, კატალოგში ღირებულების თვალსაზრისით, დიდ განსხვავებას ქმნის.

წყლის ნიშნის დემონტორი

წყლისნიშნისანი ქაღალდი მარკის წარმოებაში გამოიყენება, როგორც უსაფრთხოების ღონისძიება. მის აღმოსაჩენად, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა წყლის ნიშნის დეტექტორი.

კოლექციონერობის მეთოდები

ზოგიერთი კოლექციონერი უპირატესობას ანიჭებს ფერად მარკებს, ზოგიერთი – ისტორიასთან დაკავშირებულ მარკებს. მარკების შეგროვების იმდენი ფორმა არსებობს, რამდენი ადამიანიცაა.

გამოუყენებელი/გამოყენებული მარკების კოლექციონერობა

ისინი ვინც გამოუყენებელ მარკებს ანიჭებს უპირატესობას, ფიქრობენ, რომ მარკაზე დასმული ბეჭედი მის დიზაინს აუფერულებს. ხოლო ისინი ვინც გამოყენებულებს ანიჭებს უპირატესობას, ამტკიცებს, რომ მარკა რეალურად არ ჩაითვლება მარკად, თუ ფოსტით არ არის გაგზავნილი.

ზოგადი კოლექციონერობა

იყო დრო, როდესაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მარკის ერთ ალბომში მოთავსება შეიძლებოდა. ამ პერიოდში კოლექციონერები ყველა მარკის მოპოვებას ცდილობდნენ. მათ ზოგად კოლექციონერებს უწოდებდნენ. დღეს იმისათვის, რომ ყველა მარკა შეიძინო დიდი თანხა და ბევრი ალბომია საჭირო.

ქვეყნების მიხედვით კოლექცია

ქვეყნების მიხედვით მარკების შეგროვება კოლექციონერობის ყველაზე პოპულარული მეთოდია. იქ, სადაც ცხოვრობ, გაცილებით ადვილია საკუთარი ქვეყნის მარკების შეძენა.

თემატური კოლექცია

თემატური კოლექცია მარტივი და სახალისოა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი მარკა მოიპოვო სასურველ თემაზე. ყველაზე პოპულარული თემებია: ძაღლები, კატები, ჩიტები, ყვავილები, თვითმფრინავები, მატარებლები, გემები, ხელოვნება, მუსიკა, კოსმოსი, სპორტი და რელიგია. ადამიანები ელვის პრესლისა და მერილინ მონროს მარკებსაც აგროვებენ. არიან კოლექციონერები, რომლებიც რომელიმე კონკრეტული მხატვრის დიზაინით შექმნილ მარკებს ყიდულობს, ზოგიერთი მწვანე ფერში დაბეჭდილ მარკებს ან იმ მარკებს აგროვებს, რომელთა დიზაინშიც ნომინალად მითითებულია 10.

მარკის ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორები

მარკის ღირებულებას განსაზღვრავს არა სიძველე, როგორც ბევრს ჰგონია, არამედ მრავალი ფაქტორი.

მოთხოვნა და მიწოდება

მარკების, როგორც სხვა საქონლის ფასი, მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მიხედვით დგინდება. თუკი მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, მაშინ ფასი დაიწვეს. თუკი პირიქითაა, მაშინ ფასი აიწვეს.

მდგომარეობა

მდგომარეობა მარკის ფიზიკურ მონაცემებს ასახავს. დაზიანებული მარკის გაყიდვა შეუძლებელია.

ქვემოთ მოყვანილია ტერმინოლოგია, რომელიც მარკის სხვადასხვა მდგომარეობას ასახავს:

გათხელება — ფილატელიაში ეს ტერმინი გამოიყენება მარკებთან მიმართებაში, როდესაც მარკის რევერსი (უკანა წებოვანი მხარე) ალბომიდან ამოღებისას ან კონვერტიდან აძრობისას დაზიანდება და, შესაბამისად, მარკის ქალაღი გათხელდება. თუმცა, მსგავსი რამ თავად ქალაღის დამზადების დროსაც შეიძლება მოხდეს.

ინკლუზია — მარკების დასაბეჭდად საჭირო ქალაღის დამზადებისას დაშვებული შეცდომა, რაც ქალაღს უვარგისს ხდის.

ნახევი — ქალაღის დაზიანება — გახვრეტა, გახევა.

ბლაგვი და მახვილი პერფორაცია — პერფორაცია, რომელიც ჩვეულებრივ ფართოდდება მარკის ხანდაზმულობის გამო, ზოგჯერ კი უხეში მოპყრობის გამო.

ბლაგვი კუთხე — მარკა, რომელსაც ტკიცინა, სწორი კუთხეების ნაცვლად მომრგვალებული დაბოლოებები აქვს.



გაქეჭვა, გაცვეთა – ნაკაწრები და ნაფხაჭნები, რომლებიც ჩნდება მარკის ზედაპირზე.

გახუნება – მარკაზე დიდი დოზით სინათლის დანათება, რაც ერთგვარი ქიმიური რეაქციაა, იწვევს მელნის გახუნებას.

ჟანგვა/დაზიანება – ხანდაზმულობისა და ქიმიური ნივთიერებების (ამიაკის) ზემოქმედების გამო გამოწვეული დაზიანება. ზოგიერთი ფერი, სხვა ფერებთან შედარებით, მაგალითად, როგორიც არის ნარინჯისფერი, მიდრეკილია ჟანგვისაკენ.

დალაქავება – ყავისფერი ან ჟანგისფერი ლაქების გაჩენა ქაღალდზე.

თავდაპირველი წებო – მარკის გამოშვებისას ქაღალდზე დატანილი წებო თავდაპირველი მდგომარეობით.

შელახული წებო – შემთხვევა, როდესაც მარკის რევერსზე დატანილი წებოს თავდაპირველი მდომარეობა, მასზე რაიმე სახის ღონისძიების განხორციელების შედეგად შელახულია.

სამაგრები – მარკების რევერსზე დამაგრებული სპეციალური მომცრო, თხელი ქაღალდი მათ ალბომში ჩასაკრავად. ერთგვარი დამცავი მექანიზმი, მარკების ალბომიდან ამოღებისას მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

შეფასების კრიტერიუმი

მარკების შეფასება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად არის საზღვრები დაცული ბეჭდვისას და რამდენადაა ცენტრში განთავსებული მარკაზე დატანილი გამოსახულება.

კოლექციონერებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ შეფასების კრიტერიუმები მანამ, სანამ მარკების შეძენას გადაწყვეტენ – განსაკუთრებით ძვირადღირებული მარკების!

მარკაზე სუსტად (უვარგისად) დატანილი გამოსახულების შემთხვევაში, პერფორაცია გადასულია უშუალოდ გამოსახულებაზე.

საშუალო ცენტრის შემთხვევაში, პერფორაცია არ არის მარკის დიზაინზე გადასული, მაგრამ მის კიდეს ებჯინება.

კარგი ცენტრის შემთხვევაში, მარკის დიზაინი კარგად მის ქალაქზე და პერფორაციის ადგილებზე მეტ-ნაკლებად ზუსტად არის განსაზღვრული.

შეფასების შემდეგი კრიტერიუმები - სუსტი, საშუალო და კარგი, მარკების გაყიდვის შემთხვევაში, კატალოგის ფასის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს უდრის. როდესაც შეფასების კრიტერიუმი განისაზღვრება ძალიან კარგის სტატუსით, ამ შემთხვევაში მარკის საცალო ფასი მისი კატალოგის ფასის ანალოგიურია, ხოლო როდესაც მარკის შეფასების კრიტერიუმია - ბრწყინვალე (ეს ნიშნავს იდეალურ ცენტრს), ამ შემთხვევაში მარკის საცალო ფასი კატალოგის ფასზე მეტია.

მარკის ფასის მატება, შეფასების კრიტერიუმის ამალღების პირდაპირპროპორციულია.

ასე, რომ კოლექციონერები მარკებს შემდეგი კრიტერიუმებით აფასებენ:

- ❖ სუსტი
- ❖ საშუალო
- ❖ კარგი
- ❖ ძალიან კარგი
- ❖ ბრწყინვალე
- ❖ უმაღლესი

პერფორაცია

1840 წელს, როდესაც მარკების გამოშვება დაიწყო დიდ ბრიტანეთში, ისინი დიდ ფურცელზე დაიბეჭდა, სადაც 240 ერთეული მარკა იყო დატანილი. როდესაც მომხმარებელს რამდენიმე მარკის ყიდვა სურდა, საფოსტო სამსახურში უნდა მისულიყო და საფოსტო კლერკს მარკები ფურცლიდან უნდა ჩამოეჭრა. ეს საჭიროება გარკვეულ დროსა და სიფრთხილეს, რადგან შესაძლებელი იყო მარკის დაზიანება.

მარკების დანაწევრების პრობლემის მოგვარება 1847 წელს, წარმოშობით ირლანდიელმა ჰენრი არჩერმა [Henry Archer] შეძლო, რომელმაც მარკებს შორის ნახვრეტები გააკეთა, რის შედეგადაც საფოსტო კლერკი, თუ მომხმარებელი ერთმანეთისგან ადვილად აცალკევებდა მარკებს. ამ ნახვრეტებს პერფორაცია ჰქვია და მისი გაკეთების მრავალი მეთოდი არსებობს. არჩერმა თავისი გამოგონება და საპატენტო უფლებები ბრიტანეთის საზინას 4000 ფუნტად მიჰყიდა. ამგვარი მარკები ბრიტანეთში ოფიციალურ გაყიდვაში 1854 წელს გამოვიდა.

მარკის დიზაინის ელემენტები

მარკის დიზაინში შესაძლებელია რამდენიმე ელემენტის გამოყოფა. დიზაინის ცენტრალურ ნაწილს ვინეტი [vignette] ეწოდება, რომელიც მოთავსებულია ჩარჩოში. ზოგიერთ შემთხვევაში მარკის ზედა ნაწილში მოცემულია გამომშვები ქვეყნის სახელწოდება და მარკის დანიშნულება (მაგ., მოცემულია ინფორმაცია, რომ მარკის გამოყენება შეიძლება საფოსტო გადასახადის გადასახდელად ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის). მარკის ამ ნაწილს ბანერი [banner] ეწოდება. მარკის ქვედა ნაწილში შეიძლება ორი სხვადასხვა ზონა იყოს, ერთში მაგალითად, შეიძლება ეწეროს - 4, მეორეში - სიტყვები ოთხი ცენტი. ეს აღნიშნავს საფოსტო ან საშემოსავლო გადასახადის ოდენობასა და დასახელებას, რასაც მარკაში, მისი გამოყენების პერიოდში იხდიდნენ. მარკის ამ ნაწილს ღირებულების დაფა [value tablet] ჰქვია.

როგორ ამოვიცნოთ მარკები

ზოგიერთი ქვეყანა მარკაზე არ უთითებს ქვეყნის დასახელებას, ზოგი ისე არ მოიხსენიებს საკუთარ ქვეყანას, როგორც ჩვენ - ინგლისურ ენაზე. მესამე ჯგუფი იყენებს იმ ალფაბეტს, რომელიც ჩვენთვის უცნობია.

მარკების ამოსაცნობად კარგი იქნება ყურადღებით შევისწავლოთ კატალოგები, უნდა დავაკვირდეთ ილუსტრაციებს და დავიმახსოვროთ, თუ როგორი ტიპის მარკებს უშვებს სხვადასხვა ქვეყანა.

ასევე სასურველია დავიმახსოვროთ სიტყვა ფოსტის ეკვივალენტი სხვადასხვა ენაზე: ინგლისურად - post, ფრანგულად - postes, ესპანურად - correos, პორტუგალიურად - correio ან correios.

ფილატელისტური ბიბლიოთეკა

ფილატელიის შესახებ პირველი პუბლიკაცია საფრანგეთში გამოიცა. 1861 წელს სტრასბურგელმა გამომცემელმა მ. ბერჟე ლევრომ [M. Berger-Levrault] კერძო გავრცელებისათვის არსებული მარკების მცირე სია დაბეჭდა. შემდგომ წლებში მას სხვებმაც მიბადეს. 1862 წლის სექტემბერში, ბირმინგემში, მარკების შესახებ პირველი ჟურნალი გამოვიდა - „Monthly Intelligencer“. ამავე წელს საფრანგეთში გამოვიდა მარკების პირველი ალბომი.

თანამედროვე ფილატელისტური ბიბლიოთეკა სამ სეგმენტად იყოფა: კატალოგები, წიგნები და ჟურნალები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კატალოგებია. განახლებული კატალოგების გარეშე შეუძლებელია კოლექციონერობა. კოლექციის ზრდასთან ერთად, საჭიროა ისეთი კატალოგები, საიდანაც მუდმივად შეიძლება ახალი ინფორმაციის მიღება.

კატალოგები

კატალოგებს, რომლებიც აღწერს და აფასებს მარკებს, 1860-იანი წლებიდან გამოსცემენ. პირველ კატალოგი 10 გვერდისგან შედგებოდა და მასში შეტანილი იყო იმ დროისათვის გამოცემული მსოფლიოს ყველა მარკა, თუმცა, მარკების ილუსტრაციების გარეშე. იგი 1861 წელს საფრანგეთში ალფრედ პოტიკეტმა [Alfred Potiquet] გამოსცა.

არიან დიდი გამომცემლები, რომლებიც სრულმასშტაბიან მსოფლიო კატალოგებს გამოსცემენ, თუმცა არის სპეციალიზებული კატალოგებიც, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებს, სპეციფიკურ პერიოდს ან რომელიმე თემას ეხება.

მარკების კატალოგები შეიცავს ორი ძირითადი ტიპის ინფორმაციას: ტექნიკურს და ფასებს.

ცალკეული ქვეყნების მიერ გამოშვებული მარკების კატალოგები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) ზოგადი კატალოგები, რომელშიც მოცემულია სია, ილუსტრაციები, აღწერილია და შეფასებულია მსოფლიოს ყველა მარკა და 2) სპეციალიზებული კატალოგები, რომლებიც გვთავაზობს რომელიმე ერთი ქვეყნის ან მარკების განსაკუთრებული ჯგუფის ვრცელ სიას.

A decorative border on the left side of the page features a collage of postage stamps. Visible stamps include a blue one with the year '1969', a red one with '1969', and a green one with 'CENT'.

ზოგად კატალოგებში მარკები ორგანიზებულია ქვეყნების მიხედვით და დალაგებულია ქრონოლოგიურად. სპეციალიზებულ კატალოგებში მარკები, როგორც წესი (განსხვავდება გამომცემლების მიხედვით), დალაგებულია სახეობების მიხედვით. დეფინიტური/რეგულარული და საიუბილეო ზოგჯერ დალაგებულია ერთად, რომელსაც მოსდევს ნახევრად საფოსტო, ავიაფოსტა და ა.შ. ყველა მარკას უნიკალური ნომერი აქვს, რაც არის მისი კატალოგის ნომერი. ყველა კატალოგის გამომცემელი საკუთარი ნუმერაციის სისტემას იყენებს. ასე რომ, როდესაც ორ სხვადასხვა კატალოგში მოცემულ ერთი და იგივე მარკაზე ვსაუბრობთ, უნდა მივუთითოთ ორივეს გამომცემელი და ნომერი.

კატალოგში მარკის ნომრის გარდა, მოცემულია: ილუსტრაცია, აღწერა (დასახელება, ფერი ან/და საგანი), პერფორაციის ზომა, წყლის ნიშანი (თუ აქვს), ბეჭდვის მეთოდი, გამოცემის თარიღი, გამოყენებული და გამოუყენებელი ვარიანტის ფასი.

კატალოგების ყიდვა/ნახვა შესაძლებელია მარკების დილერებთან, წიგნების მაღაზიებში და ბიბლიოთეკებში.

მსოფლიოში გამოდის შემდეგი ცნობილი კატალოგები: „Stanley Gibbons“ - დიდი ბრიტანეთი (1865 წლიდან), „Scott Catalogs“ - აშშ (1868 წლიდან), „Yvert & Tellier“ - საფრანგეთი (1896 წლიდან), „Zumstein“ - შვეიცარია და ლიხტენშტაინი (1909 წლიდან), „Michel“ - გერმანია (1910 წლიდან), ასევე, „Krause-Minkus“ - აშშ, „Ceres“ - საფრანგეთი, „Edifil“ - ესპანეთი, „Bollaffi“ - იტალია, „Unitrade“ - კანადა, „Sakura“ - იაპონია.

წიგნები


კოლექციონერებისათვის წიგნების ფართო არჩევანია, რომლებიც სხვადასხვა საკითხს ეხება: ბიბლიოგრაფიები, ლექსიკონები, მარკების ბეჭდვა, ისტორიული ასპექტები და სხვ. ასევე იბეჭდება ცნობარები, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის მარკებს ეხება, მონოგრაფიები, რომლებსაც ფილატელისტური საზოგადოებები გამოსცემენ.

ჟურნალები

მარკების ჟურნალები შეიძლება ორ ნაწილად დავაჯგუფოთ: ერთ ნაწილს გამოსცემენ ფილატელისტური საზოგადოებები და საკუთარ წევ-

რეზი აგრეგლებენ და მეორე ნაწილს კომერციული მიზნებისათვის ყი-
დიან მარკების მაღაზიებში და/ან მათი გამოწერაა შესაძლებელი.

დიდ ბრიტანეთში ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალს „The London Philatelist“
გამოსცემს სამეფო ფილატელისტური საზოგადოება, წელიწადში ათჯერ.
ბრიტანეთში მეორე მნიშვნელოვანი საზოგადოება ნაციონალური ფილა-
ტელისტური საზოგადოება 1908 წლიდან აქვეყნებს ჟურნალს „The Stamp
Lover“, რომელიც წელიწადში ექვსჯერ გამოდის. აშშ-ში წელიწადში ექვ-
სჯერ გამოდის ნიუ-იორკის კოლექციონერთა კლუბის ჟურნალი „Collec-
tors' Club Philatelist“, ამერიკის ფილატელისტური საზოგადოება კი ყო-
ველთვიურად გამოსცემს „The American Philatelist“. მსგავსი ჟურნალები
ბევრ სხვა ქვეყანაშიც გამოიცემა ფილატელისტური საზოგადოებების მი-
ერ.



სად შევიძინოთ მარკები



წერილები

თუ თქვენ სახლში ან სამსახურში მიიღეთ წერილი, შეგიძლიათ მასზე დაკრული მარკა ფრთხილად ააძროთ და თქვენს კოლექციაში მიუჩინოთ ადგილი.

ფოსტა

ქვეყანაში მარკების შესაძენად ყველაზე გავრცელებული ადგილი ფოსტაა.

ადგილობრივი დილერები

დილერებს კავშირები აქვთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში და შეუძლიათ თქვენთვის სასურველი მარკის მოპოვება.

აუქციონები

აუქციონები პერიოდულად იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც სასურველი მარკის შეძენის შესაძლებლობაა. აუქციონამდე ქვეყნდება სპეციალური კატალოგები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მარკების

შესახებ. სააუქციონე კატალოგები ილუსტრირებულია. ინფორმაცია აუქციონების შესახებ ქვეყნდება ფილატელისტურ გამოცემებში. აუქციონში მონაწილეობა შეიძლება პიროვნულად, ფოსტის ან აგენტის მეშვეობით. გამოცდილი მოვაჭრეები აუქციონში მონაწილეობამდე, საზღვრავენ კონკრეტული მარკის მაქსიმალურ ფასს. აუქციონში მონაწილეობამდე აუცილებელია სააუქციონე კატალოგში აუქციონის პირობების გაცნობა. პირველი ფილატელისტური აუქციონი 1865 წლის 29 დეკემბერს პარიზში ჩატარდა. ხუთი წლის შემდეგ, აუქციონს ნიუ-იორკმაც უმასპინძლა, სადაც 500 აშშ დოლარის მარკები გაიყიდა. დიდ ბრიტანეთში პირველი აუქციონი 1872 წლის 18 მარტს გაიმართა. 275 ლოტი 1250 აშშ დოლარად გაიყიდა.

კლუბები

მარკების კლუბებში კლუბის წევრებს საშუალება აქვთ ივაჭრონ მარკებით. კლუბები ფილატელისტებს შორის კავშირების დამყარებისათვის საუკეთესო ადგილია. კლუბში შეხვედრები, როგორც წესი, თვეში ერთხელ ან ორჯერ იმართება.

ფილატელისტური საზოგადოებები

ბევრი ფილატელისტური საზოგადოება საკუთარ წევრებს მარკებს გაყიდვების განყოფილებების საშუალებით სთავაზობს. კლუბებისგან განსხვავებით, ფილატელისტური საზოგადოებები მთელ ქვეყანას მოიცავენ და წელიწადში ერთხელ იკრიბებიან.

გამოფენა

გამოფენა განსხვავდება მასშტაბების მიხედვით, არის ადგილობრივი დონის, ეროვნული და საერთაშორისო გამოფენები. გამოფენაზე შეკრებილი დილერები მარკებს სთავაზობენ მაგიდებიდან ან ჯიხურებიდან. დიდი გამოფენები ლექციებზე, სხვადასხვა საინტერესო პროგრამებსა და სემინარებზე დასწრების საშუალებასაც იძლევა. მარკების პირველი გამოფენა დრეზდენში 1870 წელს გაიმართა.

ინტერნეტი

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტი საშუალებას იძლევა მსოფლიო მასშტაბით იყიდო, გაყიდო და ივაჭრო მარკებით. ინტერნეტში მრავალი ვებ-გვერდია, რითაც შესაძლებელია სასურველი მარკის შეძენა.

კოლექციის მოვლა - რამდენიმე რჩევა დამწყებ კოლექციონერებს

პრობლემების პრევენციის მიზნით, წელიწადში მინიმუმ ორჯერ, საჭიროა გადაიხედოს თქვენი კოლექცია, დაათვალიერო ალბომის ყველა გვერდი და თითოეული მარკა. ქვემოთ მოცემული რჩევები თქვენი კოლექციის კარგად მოვლის საწინდარია.

❖ მთავრად მარკების ალბომი ნესტიან ან ცხელ ადგილს, რათა არ დაზიანდეს თავად ალბომი ან რომელიმე მარკა. ერთი მარკის დაზიანებამ შეიძლება სხვა მარკაზეც ნეგატიურად იმოქმედოს.

❖ მთავრად მარკები და ალბომები მზის სხივებს. შეინახეთ მარკები დახურულ სივრცეში, კარადაში ან სპეციალურ ყუთში და არასოდეს დატოვოთ ალბომი ან მარკები მზიან ფანჯარასთან. მზის სხივები მარკების გახუნებას იწვევს და მას ფერს უცვლის.

❖ ლაქის თავიდან აცილება მარტივად შეიძლება, თუ მარკას მხოლოდ მარკის მაშით შევეხებით.

❖ არასოდეს გამოიყენოთ წებო ალბომში მარკის მოსათავსებლად.

❖ არასოდეს გააკეთოთ წარწერები თქვენს მარკებზე კალმით ან ფანქრით.

❖ არასოდეს მიირთვათ ან დალიოთ სასმელი მარკების კოლექციაზე მუშაობის პარარელურად.

❖ მარკების გაუფერულებას იწვევს მისი თვალიერებისას სიგარეტის მოწევა. თამბაქოს სუნი მარკის ფურცლებზეც გადადის, რისი მოშორებაც საკმაოდ რთულია.

❖ მარკაზე დატანილი კაშკაშა ფერები და ლამაზი სურათები ბავშვების ყურადღებას იპყრობს, ამიტომ შესაძლოა მათ მარკებით თამაში მოუნდეთ. პატარებს ადრეულ ასაკში მთავრად ალბომები, როდესაც წამოიზრდებიან მხოლოდ მაშინ დაიწყეთ მათთან ერთად თვალიერება.

გამორჩენილი ფილატელისტები



სერ როულანდ ჰილი - [Sir Rowland Hill] 1795-1879 წწ.. საფოსტო მარკის აღიარებული მამაა. მან გამოაქვეყნა ინსტრუქცია საფოსტო სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ, რომელშიც აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე დაწესებულიყო ერთიანი საფოსტო ტარიფი, ასევე, საფოსტო გზავნილისათვის წინასწარი გადახდა. ერთიანი საფოსტო ტარიფი 1840 წლის 10 იანვარს შემოიღეს.

ასევე შემოიღეს „ქალაქის მომცრო ნაგლეჯი“, რომელსაც გაგზავნამდე წერილს აწებებდნენ. 1840 წლის 1 მაისს გამოვიდა შავი პენი, ერთპენსიანი მარკა, რომლის გაყიდვაც 6 მაისს დაიწყო. საფოსტო მარკები საზოგადოებამ მიიღო, რამაც საფოსტო სამსახურების შემოსავლებიც მკვეთრად გაზარდა. საფოსტო მარკების გამოცემა მთელ მსოფლიოში დაიწყო.

ჯონ ნიკოლას ლიუფი - [John Nicholas Luff] 1860-1938 წწ.. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფილატელისტი. 1890 წლიდან 1930 წლამდე აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი ავტორი. სტატიებს აქვეყნებდა ჟურნალ „American Journal of Philately“-ში. 1899 წელს გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი „რას გვასწავლის ფილატელია“.



თომას კეი ტაპლინგი - [Thomas Keay Tapling] 1855-1891 წწ.. ერთ-ერთი პირველი დიდი კოლექციონერი, რომელმაც მარკების შეგროვება 1865 წლიდან დაიწყო. იგი 1881 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ლონდონის ფილატელისტური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო. მთელი თავისი კოლექცია (100 ათასი მარკა და ბლოკი) ბრიტანეთის მუზეუმს დაუტოვა. ტაპლინგის სურვილი იყო არ დაეყოთ მისი კოლექცია და ცალკე შეენახათ, რომლის ნახვაც ხელმისაწვდომი იქნებოდა ფილატელისტური საზოგადოების წევრებისათვის.

ჯონ უოლტერ სკოტი - [John Walter Scott] 1845-1919 წწ.. ერთ-ერთი პირველი დიდი ფილატელისტი. 1868 წელს სკოტმა აშშ-ის მთავარ ფილატელისტურ ჟურნალ „American Journal of Philately“-ში დაიწყო სტატიების გამოქვეყნება. იმავე წელს მან ხელი შეუწყო აშშ-ში პირველი და მსოფლიოში მეორე ფილატელისტური კლუბის - ნიუ-იორკის ფილატე-



ლისტური კლუბის ჩამოყალიბებას. 1968 წლის სექტემბერში მან გამოაქვეყნა პირველი საფოსტო მარკების კატალოგი, რამაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1890-1915 წლებში გამოსცა და რედაქტირებას უკეთებდა ჟურნალ „The Metropolitan Philatelist“-ს.



ჯონ კერ ტიფანი - [John Kerr Tiffany] 1842-1897 წწ.. მე-19 საუკუნის ყველაზე ცნობილი ამერიკელი ფილატელისტი. მარკების შეგროვება სტუდენტურ წლებში საფრანგეთში დაიწყო. 1860-იან წლებში მან ყველა გამოცემას მოუყარა თავი. მისი ეს საქმიანობა 1870-იან წლებში უზარმაზარი ფილატელისტური ბიბლიოთეკის შექმნით დაგვირგვინდა. ტიფანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ბიბლიოთეკა გრაფ ჯეიმს ლინდსიმ შეიძინა, რომელმაც ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის მუზეუმს (ამჟამად ბრიტანული ბიბლიოთეკის ფილატელისტური სექცია) უანდერძა. 1886 წელს ამერიკის ფილატელისტური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ტიფანიმ 1883 წელს გამოსცა წიგნი აშშ-ის მარკების შესახებ. მე-19 საუკუნის ბოლოს, ჯონ სკოტის შემდეგ, იგი აშშ-ში მნიშვნელოვან ფილატელისტად მიიჩნეოდა.

ჯეიმს ლუდოვიკ ლინდსი - [James Ludovic Lindsay] 1847-1913 წწ.. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილატელისტი. იგი ცნობილია გრაფ კროუფორდის [Earl of Crawford] სახელით. მიუხედავად იმისა, რომ მან მარკების შეგროვება 50 წლის ასაკიდან დაიწყო, მოკლე პერიოდში, ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია და ბიბლიოთეკა შექმნა. განსაკუთრებით ცნობილია მისი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მარკების კოლექცია.



სერ ედუარდ დენი ბეკონი - [Sir Edward Denny Bacon] 1860-1938 წწ.. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ბრიტანელი ფილატელისტი და ექსპერტი. მან არაერთი წიგნი გამოაქვეყნა ფილატელიის სხვადასხვა საკითხზე. 1913 წელს იგი მეფე ჯორჯ V მარკების კოლექციის კურატორი გახდა. მისი კურატორობის პერიოდში შეიცვალა ჯორჯ V კოლექცია და შემოიფარგლა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, მისი კოლონიებისა და დომინიონების მარკებით.

დღეისათვის კოლექცია სამეფო კოლექციის სახელით არის ცნობილი. ამ საქმისთვის მან 1932 წელს რაინდის ტიტული მიიღო.

ფრედერიკ ჯონ მელვილი - [Frederick John Melville]
1882-1940 წწ.. ფილატელიის სფეროში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი და რედაქტორი. ცნობილია მისი წიგნი - „კოლექციონერობის ალფაბეტი“, რომელიც 1903 წელს ინგლისსა და აშშ-ში გამოვიდა. 1904 წელს მან გამოაქვეყნა პირველი წიგნი - „დიდი ბრიტანეთის საფოსტო მარკები“. მელვილმა სულ 100 წიგნი გამოსცა. 1940 წელს გამოიცა მისი ბოლო წიგნი „თანამედროვე მარკების კოლექციონირება“.



ედუარდ სტენლი გიბონსი - [Edward Stanley Gibbons]
1840-1913 წწ.. იგი მარკებით ბავშვობიდანვე იყო გატაცებული და პირველი კომპანია 1856 წელს დააარსა. მას მამამ მარკების გასაყიდად, საკუთარ აფთიაქში, ერთი ვიტრინა დაუთმო. 1862 წელს მარკების გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა მამის აფთიაქის შემოსავალს გადააჭარბა. 1865 წელს გიბონსმა საფოსტო მარკებზე საკუთარი პრეისკურანტის გამოშვება დაიწყო, რომელიც გარეგნულად ჟურნალს წააგავდა და ყოველთვიურად

გამოდიოდა. 1879 წლიდან კატალოგი ყოველწლიურად წიგნის ფორმით გამოდიოდა. დღეისათვის სტენლი გიბონსის კატალოგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საფოსტო მარკების კატალოგია. 1890 წლიდან გიბონსი ყოველთვიურ ფილატელისტურ ჟურნალს გამოსცემდა. მარკების ბიზნესიდან გიბონსი 1890 წელს წავიდა, რის შემდეგაც მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობდა.

გრაფი ფილიპე ფონ ფერარი - [Count Philippe von Ferrari]
1848-1917 წწ.. იგი დაიბადა საფრანგეთში, მდიდარი მშობლების ოჯახში. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც მშობლები ანებივრებდნენ. დედამ გასართობად ათი წლის ასაკში მარკები აჩუქა. ფერარი იმდენად გაიტაცა მარკებმა, რომ გადაწყვიტა ყველა გამოშვებული მარკა შეეძინა, რაშიც მან მილიონობით ფრანკი დახარჯა. 1878 წელს ფერარმა დიდ ფასად შეიძინა ბრიტანეთის გაიანას უიშვიათესი მარკა ერთცენტანი მაჯენტა. მას მარკების შესაძენად ყოველკვირეულად 50 ათასი ფრანკი ჰქონდა გამოყოფილი. ფერარი გარდაცვალებამდე აგროვებდა მარკებს და კოლექცია არასოდეს გამოუტანია გამოფენაზე. 1921-1925 წლებში მისი კოლექცია გაიყიდა იმ დროისათვის ასტრონომიულ თანხად - 1.428.000 აშშ დოლარად.





მეფე ჯორჯ V - [George V] 1865-1936 წწ.. დიდი ბრიტანეთის მეფე 1910-1936 წლებში ბრიტანეთის იმპერიის მარკების ცნობილი კოლექციონერი იყო. მის კოლექციას [დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მარკა] ბრიტანეთის გაიანას ერთცენტიანი მაჭენტა აკლდა, რომელიც გრაფ ფერარის გარდაცვალების შემდეგ აუქციონზე გაიყიდა. მეფის სურვილის მიუხედავად, შეესყიდა მარკა, ამერიკელმა ქსოვილების მწარმოებელმა არტურ

ჰინდმა [Arthur Hind] აუქციონზე მარკაში 32.500 აშშ დოლარი გადაიხდა, რაც იმ დროისათვის ერთ მარკაში გადახდილი ყველაზე მაღალი ფასი იყო. არის ვერსია, რომ ჰინდმა მეფეს მარკა საჩუქრად შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. მეფის გარდაცვალების შემდეგ, მისი კოლექცია ინახება ბუკინგემის სასახლეში, 350 ალბომში.

ეგვიპტის მეფე ფარუქი - [Farouk] 1920-1965 წწ.. მეფე მარკების ცნობილი კოლექციონერი იყო. 1952 წლამდე, მის დამხობამდე, იგი არ იშურებდა ფულს მარკების შესაძენად.



ფრანკლინ დელანო რუზველტი - [Franklin D. Roosevelt] 1882-1945 წწ.. აშშ-ის პრეზიდენტი ბავშვობიდან აგროვებდა მარკებს და პრეზიდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა მარკების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში. რუზველტი ვეტოს ადებდა მარკებზე ისეთი საგნების დაბეჭდვას, რომლებიც, მისი აზრით, მარკებზე გამოჩენას არ იმსახურებდა. 12-წლიანი პრეზიდენტობის პერიოდში გამოქვეყნებული 200-მდე მარკა აშშ-ში გამოცემულ მარკებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო დიზაინით

გამორჩევა.

ბიბლიოგრაფია

1. ბ. ბრეგვაძე, საქართველოს საფოსტო მარკების კატალოგი (1990-1999 წწ.), გამომცემელი შპს „საქართველოს მარკა“.
2. James Watson, Michael Briggs, Stamp Collecting, How to Identify Stamps, 2007.
3. James Mackay, The World Encyclopedia of Stamps and Stamp Collecting, Lorenz Books, 2007.
4. Janet Klug, Guide to Stamp Collecting, 2007.
5. James Mackay, The Complete Illustrated Guide to Stamp Collecting, southwater, 2006.
6. Michael Baadke, Linn`s Complete Stamp Collecting Basics, 2004.
7. Wayne L. Youngblood, All about Stamps, An Illustrated Encyclopedia of Philatelic Terms, 2000.
8. Jennifer Abeyta, Cool Collectibles Stamps, 2000.
9. R. Scott Carlton, The International Encyclopedic Dictionary of Philately, 1997.
10. James Watson, Stamp Collecting, How to Start, 1997.
11. James Watson, Stamp Collecting, Collecting by Theme, 1989.
12. Stanley Phillips, Stamp Collecting, A Guide to Modern Philately, 1983.
13. Kenneth A. Wood, This is Philately, A Encyclopedia of the Fascinating World of Stamp Collecting, Volume One, 1982.
14. Kenneth A. Wood, This is Philately, A Encyclopedia of the Fascinating World of Stamp Collecting, Volume Two, 1982.
15. Kenneth A. Wood, This is Philately, A Encyclopedia of the Fascinating World of Stamp Collecting, Volume Three, 1982.
16. Большой филателический словарь, Москва, 1988.

სასარგებლო ბმულები

- ☞ www.upu.int - მსოფლიო საფოსტო კავშირი.
- ☞ www.f-i-p.ch - ფილატელისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია.
- ☞ www.stamps.org - ამერიკის ფილატელისტური საზოგადოება.
- ☞ www.rpsl.org.uk - ლონდონის სამეფო ფილატელისტური საზოგადოება.
- ☞ www.philately.ge - ქართულენოვანი საინფორმაციო პორტალი კოლექციონერებისათვის.
- ☞ www.stampnewsnow.com - საინფორმაციო პორტალი კოლექციონერებისათვის.
- ☞ www.linns.com - მსოფლიოში ყველაზე დიდი გაზეთი, რომელიც მარკების კოლექციას ეძღვნება.
- ☞ www.stampmagazine.co.uk - მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფილატელისტური ჟურნალი.
- ☞ www.postalmuseum.si.edu - საფოსტო ისტორიისა და ფილატელიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი.
- ☞ www.stanleygibbons.com - ლიდერი კომპანია მარკების ბაზარზე.

SUMMARY

In this brochure the history of stamp-issuing is discussed. Besides this the book contains attention-grabbing topics about philately (stamp collecting) including: philately key instruments, philatelic literature, stamp-collecting methodology, recommendations for stamp-keeping, brief bios of famous philatelists and more interesting themes.

The guideline is intended for newcomers in stamp collecting and for people interested in philately in general.

